ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ MDF/D/NCS/009-2012

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: *10 იანვარი 2012 წ.*

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3[1]-პუნქტის „ლ” ქვეპუნქტისა საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.3 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.4 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ ***სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა*** (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ ***შპს. “კოლხეთი”*** (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის მომწოდებლის მიერ წვეულების მოწყობა. 2012 წლის 14 იანვარს, შემსყიდველის მიერ დაგეგმილი ღონისძიების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, **რესტორანი - „კოლხეთი“-ში,** მდებარე შემდეგ მისამართზე: **საქართველო, ქ. თბილისი, მის.: მტკვ. მარცხ. სანაპირო გუდაუთის ქ. მიმდებარედ. (CPV53300000)**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 2,500.00 (ორი ათას ხუთასი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების საფუძველზე ან/და შესაბამისი ინვოისის/ანგარიშის წარდგენის საფუძველზე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი – ბ-ნ **დავით გოგლიძე**.

8.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

8.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

10. ანგარიშსწორება

10.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.2 ანგარიშსწორება მოხდება ანგარიშის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

10.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

11. ფასები

11.1 შესყიდვის ობიექტის გადასახდელი თანხა (ყველა გადასახადის ჩათვლით) განისაზღვრება 2,500.00 ლარით

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არ არის დასაშვები.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. სუბ-კონტრაქტორები

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან

დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

16.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით. მაქსიმალური საჯარიმო თანხა მომსახურების დასრულების დადგენილი ვადის დარღვევისათვის არ აღემატება საბოლოო კონტრაქტის ფასის 10%-ს.

16.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდებ მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ აღნიშნული ხელშეკრულება წინასწარი ერთთვიანი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

17.2 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.4 ამ მუხლში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

18. დავების გაწყვეტის წესი

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

18.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

20. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

ს.ს.ი.პ. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“

ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი №150
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ც. ფ.

კოდი: 220 101 502
ა/ა: **GE17BG0000000264040906**
ს/კ: 206 074 193

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

ლევან ჭიჭინაძე

“____” “_____”2012 წ

(ბ.ა.)

შპს “კოლხეთი”

საქართველო, ქ. თბილისი, მტკვ. მარცხ. სანაპირო
გუდაუთის ქ. მიმდებარედ
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თი-ბი-სი“ ბანკი,

ა/ა GE72TB0600000360203718
ს/კ 202351748

დირექტორი

ვახტანგ სამადაშვილი

“____” “_____”2012 წ

(ბ.ა.)